

## **LAW ENFORCEMENT**

### **Customs**

**Agreement Between the  
UNITED STATES OF AMERICA  
and GEORGIA**

Signed at Brussels July 6, 2017



NOTE BY THE DEPARTMENT OF STATE

Pursuant to Public Law 89—497, approved July 8, 1966  
(80 Stat. 271; 1 U.S.C. 113)—

“ . . . the Treaties and Other International Acts Series issued under the authority of the Secretary of State shall be competent evidence . . . of the treaties, international agreements other than treaties, and proclamations by the President of such treaties and international agreements other than treaties, as the case may be, therein contained, in all the courts of law and equity and of maritime jurisdiction, and in all the tribunals and public offices of the United States, and of the several States, without any further proof or authentication thereof.”

## **GEORGIA**

### **Law Enforcement: Customs**

*Agreement signed at Brussels  
July 6, 2017;  
Entered into force August 10, 2017.*

**AGREEMENT BETWEEN  
THE GOVERNMENT OF THE UNITED STATES OF AMERICA AND  
THE GOVERNMENT OF GEORGIA  
REGARDING MUTUAL ASSISTANCE  
BETWEEN THEIR CUSTOMS ADMINISTRATIONS**

The Government of the United States of America and the Government of Georgia hereinafter referred to as the "Parties";

Considering that offenses against customs laws are prejudicial to the economic, fiscal and commercial interests of their respective countries;

Considering the importance of ensuring the accurate assessment of customs duties and other taxes;

Recognizing the need for international cooperation in matters related to the administration and enforcement of the customs laws of their respective countries;

Having regard for the international conventions containing prohibitions, restrictions and special measures of control in respect of specific goods;

Convinced that action against customs offenses can be made more effective by cooperation between their Customs Administrations; and

Referencing the Recommendation of the Customs Cooperation Council regarding Mutual Administrative Assistance of December 5, 1953;

Have agreed as follows:

## ARTICLE 1

### DEFINITIONS

For the purposes of the present Agreement:

1. the term "Customs Administration" means, in the United States of America, United States Customs and Border Protection and United States Immigration and Customs Enforcement, which are both components of the U.S. Department of Homeland Security, and in Georgia, the Georgia Legal Entity of Public Law Georgia Revenue Service and the Investigation Service, both under the Ministry of Finance of Georgia;
2. the term "customs laws" means the laws and regulations enforced by the Customs Administrations concerning the importation, exportation, and transit or circulation of goods as they relate to customs duties, charges, and other taxes or to prohibitions, restrictions, and other similar controls respecting the movement of controlled items across national boundaries;
3. the term "information" means data in any form, whether or not processed or analyzed; and documents, reports and other communications in any format, including electronic, certified, or authenticated copies thereof;
4. the term "customs offense" means any violation or attempted violation of the customs laws;
5. the term "person" means any natural or legal person;
6. the term "property" means assets of every kind, whether corporeal or incorporeal, movable or immovable, tangible or intangible, and legal documents or instruments evidencing title to or an interest in such assets;
7. the term "provisional measures" includes "seizure" or "freezing," which means:
  - a. temporarily prohibiting the conversion, disposition, movement, or transfer of property, or
  - b. temporarily assuming custody or control of property on the basis of an order issued by a court or competent authority, or other means;
8. the term "forfeiture" means the deprivation of property by order of a court or competent authority and includes confiscation where applicable;
9. the term "requesting Administration" or "requesting Party" means the Customs Administration or Party that requests assistance; and

10. the term “requested Administration” or “requested Party” means the Customs Administration or Party from which assistance is requested.

## ARTICLE 2

### SCOPE OF AGREEMENT

1. The Parties, through their Customs Administrations, shall assist each other, in accordance with the provisions of this Agreement, in preventing, detecting, and investigating any customs offense.
2. Each Customs Administration shall execute requests for assistance made pursuant to this Agreement in accordance with and subject to the limitations of its domestic law and regulations, and within the limits of its competence and available resources.
3. This Agreement is intended solely for mutual assistance between the Parties; the provisions of this Agreement shall not give rise to a right on the part of any private person to obtain, suppress, or exclude any evidence, or to impede the execution of a request.
4. This Agreement is intended to enhance and supplement mutual customs assistance in effect between the Parties. No provision in this Agreement may be interpreted in a manner that would restrict agreements, arrangements and practices relating to mutual assistance and cooperation in effect between the Parties.

## ARTICLE 3

### SCOPE OF GENERAL ASSISTANCE

1. Upon request, a Customs Administration shall provide assistance in the form of information in order to ensure the enforcement of the customs laws and the accurate assessment of customs duties and other taxes by the Customs Administrations.
2. Upon request or upon its own initiative, a Customs Administration may provide assistance in the form of information, including but not limited to information concerning:
  - a. methods and techniques for processing passengers and cargo;
  - b. the successful application of enforcement aids and techniques;
  - c. enforcement actions that might be useful to suppress customs offenses and, in particular, special means of combating customs offenses; and
  - d. new methods used in committing customs offenses.
3. The Customs Administrations shall cooperate in:
  - a. establishing and maintaining channels of communication to facilitate the secure and rapid exchange of information;
  - b. facilitating effective coordination;
  - c. the consideration and testing of new equipment or procedures; and
  - d. any other general administrative matters that may from time to time require their joint action.



## ARTICLE 4

### SCOPE OF SPECIFIC ASSISTANCE

1. Upon request, the Customs Administrations shall inform each other whether goods exported from the territory of one Party have been lawfully imported into the territory of the other Party. If requested, the information shall contain the customs procedure used for clearing the goods.
2. Upon request, and consistent with domestic laws, a Customs Administration shall exercise surveillance of:
  - a. persons known to have committed or suspected of being about to commit a customs offense within, toward, or through the territory of the requesting Party;
  - b. goods either in transport or in storage identified as giving rise to suspected illicit traffic within, toward, or through the territory of the requesting Party;
  - c. means of transport known to have been used or suspected of being used to commit a customs offense within, toward, or through the territory of the requesting Party; and
  - d. premises in the territory of the requested Party known to have been used or suspected of being used in connection with the commission of a customs offense within, toward, or through the territory of the requesting Party.
3. Upon request, the Customs Administrations shall furnish to each other information regarding activities that may result in customs offenses within the territory of the other Party. In situations that could involve substantial damage to the economy, public health, public security, or similar vital interest of the other Party, the Customs Administrations, wherever possible, shall supply such information without being requested to do so. Nothing in this Agreement otherwise precludes the Customs Administrations from providing on their own initiative information regarding activities that may result in customs offenses within the territory of the other Party.
4. The Parties may provide assistance through the use of provisional measures and forfeiture, and in proceedings involving property subject to provisional measures or forfeiture.

5. The Parties may, consistent with this Agreement and with other agreements between them pertaining to the sharing and disposition of forfeited assets:
  - a. dispose of property, proceeds, and instrumentalities forfeited as a result of assistance provided under this Agreement in accordance with the domestic law of the Party in control of the property, proceeds, and instrumentalities; and
  - b. to the extent permitted by their respective domestic laws, and without regard to the requirement of reciprocity, transfer forfeited property, proceeds, or instrumentalities, or the proceeds of their sale, to the other Party upon such terms as may be agreed.
6. The Customs Administrations may, by mutual arrangement, permit under their control, the movement of unlawful or suspect goods out of, through, or into their respective territory, with a view to investigating and combating customs offenses. If granting such permission is not within the competence of the Customs Administration, that Customs Administration will endeavor to initiate co-operation with the national authorities that have such competence, or it will transfer the case to those authorities.

## ARTICLE 5

### FILES AND DOCUMENTS

1. Upon request, the Customs Administrations shall provide information relating to transportation and shipment of goods showing value, destination, and disposition of those goods.
2. A requesting Administration may request originals of files, documents, and other materials only where copies would be insufficient. Upon request, the requested Administration shall provide properly certified copies of such files, documents, and other materials.
3. Unless the requesting Administration specifically requests originals or copies, the requested Administration may transmit computer-based information in any form. The requested Administration shall supply all information relevant for interpreting or utilizing computer-based information at the same time.
4. If the requested Administration agrees, officials designated by the requesting Administration may examine, in the offices of the requested Administration, information relevant to a customs offense and make copies thereof or extract information therefrom.
5. Originals of files, documents, and other materials that have been transmitted shall be returned at the earliest opportunity; any rights of the requested Administration or of any entity or individual outside of the requested Administration relating thereto shall remain unaffected.

## ARTICLE 6

### WITNESSES

1. The requested Administration may authorize its employees to appear as witnesses in judicial or administrative proceedings in the territory of the other Party and to produce files, documents, or other materials or certified copies thereof.
2. Where a customs official requested to appear as a witness is entitled to diplomatic or consular immunity, the requested Party may agree to a waiver of immunity under such conditions as it determines to be appropriate.

## ARTICLE 7

### COMMUNICATION OF REQUESTS

1. Requests pursuant to this Agreement shall be made in writing directly between officials designated by the Heads of the respective Customs Administrations. Information deemed useful for the execution of requests shall accompany the request. In urgent situations, oral requests may be made and accepted, but shall be promptly confirmed in writing as expeditiously as possible, and no later than 10 business days, based upon the requesting Administration's calendar, from the date of the oral request.
2. Requests shall include as much information as possible to assist the requested Administration in responding, including, but not limited to:
  - a. the name of the requesting Administration;
  - b. the nature of the matter or proceedings;
  - c. a brief statement of the facts and customs offenses involved;
  - d. the reason for the request;
  - e. a description of the assistance requested; and
  - f. the names and addresses or other appropriate and available information regarding the persons concerned in the matter, or proceeding, if known.

## ARTICLE 8

### EXECUTION OF REQUESTS

1. The requested Administration shall take all reasonable measures to execute a request and shall endeavor to secure any official measure necessary for that purpose.
2. If the requested Administration is not the appropriate agency to execute a request, it may, in addition to advising the requesting Administration of the appropriate authority or applicable agreement, if known, transmit it to the appropriate authority.
3. The requested Administration shall conduct to the fullest extent possible, or permit the requesting Administration to conduct, such inspections, verifications, fact-finding inquiries, or other investigative steps, including the questioning of experts, witnesses, and persons suspected of having committed a customs offense, as are necessary to execute a request.
4. Upon request, the requesting Administration shall be advised of the time and place of action to be taken in executing a request.
5. Upon request, the requested Party may authorize, to the fullest extent possible, officials of the requesting Administration to be present in the territory of the requested Party to assist in execution of a request.
6. The requested Administration shall comply with a request that a certain procedure be followed to the extent that such procedure is not prohibited by the domestic law of the requested Party.

## ARTICLE 9

### LIMITATIONS ON USE

1. Information obtained under this Agreement shall be afforded the same degree of confidentiality by the receiving Party that it applies to similar information in its custody.
2. Information obtained under this Agreement may only be used or disclosed for the purposes specified in this Agreement, including use by the receiving Party in any proceedings. Such information may be used or disclosed for other purposes or by other authorities of the receiving Party if the supplying Customs Administration has expressly approved such use or disclosure in writing.
3. Information received by either Party shall, upon request of the supplying Party, be treated as confidential. The reasons for such a request shall be stated.
4. This Article shall not preclude the use or disclosure of information exchanged pursuant to this Agreement to the extent that there is an obligation to do so under the Constitution or domestic laws of the receiving Party in connection with any criminal proceeding. The receiving Party shall give advance notice of any such proposed disclosure to the supplying Party.
5. This Article shall not preclude the use or disclosure of information exchanged pursuant to this Agreement in connection with terrorism or other national security matters where there is an obligation to use or disclose such information under the receiving Party's applicable laws.
6. If data supplied is found to be incorrect or should not have been exchanged, notification should be made immediately. The Customs Administration that has received such data shall amend or delete it.
7. Information made public under this Article may be used for any purpose.
8. Each respective Customs Administration shall establish or maintain local arrangements to ensure appropriate transmission, safekeeping, storage, handling and internal dissemination of confidential data, files and documents.

## ARTICLE 10

### EXEMPTIONS

1. Where a requested Party determines that granting assistance would infringe upon its sovereignty, security, public policy or other substantive national interest, or would be inconsistent with its domestic law and regulations, including any legal requirement relating to non-compliance with assurances regarding limitations on use or confidentiality, it may refuse or withhold assistance, or may grant it subject to the satisfaction of certain conditions or requirements.
2. If the requesting Administration would be unable to comply if a similar request were made by the requested Administration, it shall draw attention to that fact in its request. Compliance with such a request shall be at the discretion of the requested Administration.
3. The requested Administration may postpone assistance on the ground that it will interfere with an ongoing investigation, prosecution, or proceeding. In such instance, the requested Administration shall consult with the requesting Administration to determine if assistance can be given subject to such terms or conditions as the requested Administration may require.
4. In the event that a request cannot be complied with, the requesting Administration shall be promptly notified and provided with a statement of the reasons for postponement or denial of the request. Circumstances that might be of importance for the further pursuit of the matter shall also be provided to the requesting Administration.



## ARTICLE 11

### COSTS

1. The requested Party shall normally pay all costs relating to the execution of the request, with the exception of expenses for experts and witnesses and the costs of translation, interpretation and transcription, which shall be paid for by the requesting Party.
2. If during the execution of a request it becomes apparent that completion of the execution of the request will entail expenses of an extraordinary nature, the Customs Administrations shall consult to determine the terms and conditions under which execution may continue.

## ARTICLE 12

### IMPLEMENTATION OF THE AGREEMENT

1. The Customs Administrations shall:
  - a. communicate directly for the purpose of dealing with matters arising out of this Agreement;
  - b. after consultation, issue any administrative directives necessary for the implementation of this Agreement; and
  - c. endeavor by mutual accord to resolve any questions or disputes arising from the interpretation or application of this Agreement.
2. Disputes that are not resolved by the Customs Administrations shall be settled by diplomatic means.
3. The Customs Administrations agree to meet periodically as necessary at the request of either Party in order to review the implementation of this Agreement.

## ARTICLE 13

### TERRITORIAL APPLICATION

This Agreement shall be applicable in the territories of both Parties as defined in their domestic legal and administrative provisions.

## ARTICLE 14

### ENTRY INTO FORCE, AMENDMENT, AND TERMINATION

1. This Agreement shall enter into force on the first day of the first month following the date of receipt of the last written notification through diplomatic channels, by which the Parties shall notify each other of the completion of their internal procedures necessary for the entry into force of this Agreement. This Agreement shall be applied provisionally from the date of its signature by both Parties in accordance with customary international law as reflected in Article 25 of the 1969 Vienna Conventional on the Law of Treaties.
2. Either Party may terminate this Agreement at any time by notification through diplomatic channels. The termination shall take effect three months from the date of notification of termination to the other Party. Ongoing requests for assistance made prior to the effective date of termination shall nonetheless be completed in accordance with the provisions of this Agreement.
3. This Agreement may be amended by a mutual written agreement by the Parties, which shall be formed as a separate document and enter into force in the same manner as the present Agreement.

IN WITNESS WHEREOF, the undersigned, being duly authorized by their respective Governments, have signed this Agreement.

DONE, in duplicate, at Brussels on

July 6, 2017, in the English and Georgian languages, both texts being equally authentic.

FOR THE GOVERNMENT OF THE  
UNITED STATES OF AMERICA:

*Brenda B Smith*

FOR THE GOVERNMENT OF  
GEORGIA:

*V. G. J.*

**შეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და საქართველოს  
მთავრობას შორის მათ საბაჟო ადმინისტრაციებს შორის ურთიერთდახმარების  
შესახებ**

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და საქართველოს მთავრობა, შემდგომში  
“მხარეებად” წოდებულნი,

ითვალისწინებენ რა, რომ საბაჟო კანონმდებლობის დარღვევა ზარალს აყენებს მათი  
სახელმწიფოების ეკონომიკურ, ფისკალურ და კომერციულ ინტერესებს;

ითვალისწინებენ რა საბაჟო და სხვა გადასახდელების ზუსტი განსაზღვრის  
მნიშვნელობას;

აღიარებენ რა საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას, რაც  
დაკავშირებულია საბაჟო კანონმდებლობის ადმინისტრირებისა და აღსრულების  
საკითხებთან;

აღიარებენ რა საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც კონკრეტულ საქონელთან  
დაკავშირებით აწესებენ აკრძალვებს, შეზღუდვებსა და კონტროლის ზომებს;

დარწმუნებულნი არიან რა, რომ ბრძოლა საბაჟო სამართალდარღვევების წინააღმდეგ  
უფრო ეფექტური გახდება მათი საბაჟო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობის  
შემთხვევაში;

ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს  
1953 წლის 5 დეკემბრის რეკომენდაციაზე დაყრდნობით.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## მუხლი 1 განსაზღვრებები

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

1. „საბაჟო ადმინისტრაცია“ ნიშნავს:

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის: ა.შ.შ-ს სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში შემავალ, ამერიკის შეერთებული შტატების საბაჟოსა და საზღვრის დაცვის და ამერიკის შეერთებული შტატების იმიგრაციისა და საბაჟო აღსრულების სააგენტოებს.

საქართველოსთვის: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - “შემოსავლების სამსახურს” და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს;

2. „საბაჟო კანონმდებლობა“ ნიშნავს ყველა კანონს და რეგულაციას, რომლებსაც მხარეების საბაჟო ადმინისტრაციები აღსრულებენ იმ საქონლის შემოტანასთან, გატანასთან, ტრანზიტთან ან ბრუნვასთან დაკავშირებით რომელიც დაკავშირებულია საბაჟო გადასახადთან, საფასურებთან და სხვა გადასახდელებთან, ან რომლებიც არეგულირებენ კონტროლირებადი საქონლის სახელმწიფო საზღვრებზე გადაადგილებასთან დაკავშირებულ აკრძალვის, შეზღუდვისა და კონტროლის ზომების გატარებას.
3. „ინფორმაცია“ ნიშნავს ნებისმიერი სახის მონაცემებს, მიუხედავად იმისა იქნება ეს მონაცემები დამუშავებული და გაანალიზებული თუ არა; დოკუმენტებს, ანგარიშებსა და ნებისმიერი ფორმატით წარმოდგენილ სხვა კომუნიკაციის საშუალებებს, მათ შორის მათ ელექტრონულ ვერსიებს, დამოწმებულ ან ავთენტიკურ ასლებს;
4. „საბაჟო სამართალდარღვევა“ ნიშნავს საბაჟო კანონმდებლობის ნებისმიერ დარღვევას ან დარღვევის მცდელობას;
5. „პირი“ ნიშნავს ნებისმიერ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს;

6. „საკუთრება“ ნიშნავს ყველა სახის მატერიალურ თუ არამატერიალურ, მოძრავ თუ უძრავ აქტივებს და სამართლებრივ დოკუმენტებს ან ინსტრუმენტებს რომლებიც ასაბუთებენ აღნიშნულ აქტივებზე უფლებამოსილებას ან მათზე ინტერესის გავრცელებას.
7. „დროებითი ღონისძიებები“ მოიცავს „ყადაღას“ ან „შეჩერებას“ და ნიშნავს:
  - a. ქონების გადაადგილების, გადაცემის, განაწილების ან კონვერსიის დროებით აკრძალვას, ან
  - b. სასამართლოს ან უფლებამოსილი უწყების ბრძანების საფუძველზე ან სხვა საშუალებებით ქონების დროებით კონტროლზე აყვანას ან დაკავებას;
8. „ჩამორთმევა“ ნიშნავს ქონების ჩამორთმევას სასამართლოს ან უფლებამოსილი უწყების ბრძანების საფუძველზე და შესაბამის შემთხვევებში მოიცავს კონფისკაციას;
9. „თხოვნის წარმდგენი ადმინისტრაცია“ ან „თხოვნის წარმდგენი მხარე“ ნიშნავს საბაჟო ადმინისტრაციას, რომელიც ითხოვს დახმარებას;
10. „თხოვნის მიმღები ადმინისტრაცია“ ან „თხოვნის მიმღები მხარე“ ნიშნავს საბაჟო ადმინისტრაციას ან მხარეს, რომელსაც მიმართეს თხოვნით დახმარების აღმოჩენის თაობაზე;

## მუხლი 2

### შეთანხმების მოქმედების სფერო

1. მხარეები, თავიანთი საბაჟო ადმინისტრაციების მეშვეობით, ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისად, დაეხმარებიან ერთმანეთს ნებისმიერი საბაჟო სამართალდარღვევის აღკვეთა, აღმოჩენასა და გამოძიებაში.
2. ამ შეთანხმების თანახმად, მხარეები ერთმანეთს გაუწევენ დახმარებას თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული აქტების შესაბამისად, თავიანთი საბაჟო ადმინისტრაციის კომპეტენციისა და ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში.
3. ეს შეთანხმება მოიცავს მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთდახმარების საკითხებს; ამ შეთანხმების დებულებები არ წარმოშობს ნებისმიერი კერძო პირის უფლებას მოიპოვოს, აღკვეთოს ან ხელი შეუშალოს მტკიცებულებაზე წვდომას ან შეზღუდოს დახმარების აღმოჩენის თაობაზე თხოვნის შესრულება.
4. ეს შეთანხმება განკუთვნილია მხარეებს შორის საბაჟო საკითხებში არსებული ურთიერთდახმარების პრაქტიკის განვითარებისა და სრულყოფისათვის. ამ შეთანხმების დებულებების ინტერპრეტაცია არ უდნა განხორციელდეს იმგვარად, რომ შეიზღუდოს მხარეებს შორის არსებული შეთანხმებების, და ურთიერთდახმარებასთან და თანამშრომლობასთან დაკავშირებული პრაქტიკის აღსრულება.

### მუხლი 3 ზოგადი დახმარების სფერო

1. საბაჟო ადმინისტრაციები, მიღებული თხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოფენ ერთმანეთის მხარდაჭერას ინფორმაციის მიწოდების სახით, რათა უზრუნველყონ საბაჟო კანონმდებლობის სათანადო აღსრულება და საბაჟო ადმინისტრაციის მიერ საბაჟო გადასახადების და სხვა გადასახდელების ზუსტი დარიცხვა.
2. თხოვნის საფუძველზე, ან თავიანთი ინიციატივით საბაჟო ადმინისტრაციებს შეუძლიათ გაუწიონ ერთმანეთს დახმარება ინფორმაციის მიწოდების სახით. ასეთი ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება:
  - a. მგზავრთა და ტვირთის შემოწმების მეთოდებსა და ტექნიკებს
  - b. აღსრულების საშუალებებისა და ტექნიკის წარმატებულ გამოყენებას
  - c. აღსრულების ქმედებებს რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საბაჟო სამართალდარღვევების აღსაკვეთად, კერძოდ საბაჟო სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებულ საშუალებებს.
  - d. საბაჟო სამართალდარღვევების ჩასადენად გამოყენებულ ახალ მეთოდებს.
3. საბაჟო ადმინისტრაციები ითანამშრომლებენ შემდეგი მიმართულებით:
  - a. კომუნიკაციის არხების დანერგვა და შენარჩუნება ინფორმაციის სწრაფად და უსაფრთხოდ გაცვლის ხელშეწყობის მიზნით;
  - b. ეფექტური კოორდინაციის ხელშეწყობა;
  - c. ახალი ხელსაწყოების და პროცედურების განხილვა და გამოცდა;
  - d. სხვა ზოგადი ადმინისტრაციული საკითხები რომლებმაც შესაძლებელია პერიოდულად მოითხოვოს ერთობლივი ქმედებები.



#### მუხლი 4 კონკრეტული დახმარების სფერო

1. თხოვნის საფუძველზე, საბაჟო ადმინისტრაციები შეატყობინებენ ერთმანეთს განხორციელდა თუ არა ერთი სახელმწიფოს ტერიტორიიდან გატანილი საქონლის მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერი შეტანა. მოთხოვნის საფუძველზე მიწოდებულ ინფორმაციაში აღნიშნული იქნება საქონლის გაფორმებისას განხორციელებული საბაჟო პროცედურები.
2. მოთხოვნის საფუძველზე და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით საბაჟო ადმინისტრაციები უზრუნველყოფენ:
  - a. იმ პირების ზედამხედველობას რომლებმაც ჩაიდინეს ან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩაიდინენ საბაჟო სამართალდარღვევას, თხოვნის წარმდგენი მხარის სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში, მისი მიმართ ან მისი გავლით.
  - b. იმ დასაწყობებული ან ტრანსპორტში განთავსებული საქონლის ზედამხედველობას, რომელზეც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი რომ ჩართულია უკანონო ვაჭრობაში თხოვნის წარმდგენი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე, მისი მიმართულებით ან მისი გავლით;
  - c. იმ სატრანსპორტო საშუალებების ზედამხედველობას, რომლებიც შემჩნეულნი ან გამოყენებული იყვნენ საბაჟო სამართალდარღვევაში თხოვნის წარმდგენი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე, მისი მიმართულებით ან მისი გავლით;
  - d. თხოვნის მიმღები მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე არსებული იმ უძრავი ქონების ზედამხედველობას, რომელიც გამოყენებულ იქნა ან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი რომ გამოყენებულ იქნა საბაჟო სამართალდარღვევისათვის თხოვნის წარმდგენი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე, მისი მიმართულებით ან მისი გავლით.
3. მოთხოვნის საფუძველზე, მხარეების საბაჟო ადმინისტრაციები მიაწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას იმ აქტივობების შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიოს საბაჟო სამართალდარღვევა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შემთხვევებში, რომლის დროსაც შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზიანი მიაღგეს მეორე მხარის ეკონომიკას, ჯანდაცვას, უსაფრთხოებას და მეორე მხარისთვის მსგავსი მნიშვნელობის მქონე საკითხს, საბაჟო ადმინისტრაციები, სადაც

შესაძლებელია, მოთხოვნის წარდგენის აუცილებლობის გარეშე გაუზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას. ამ შეთანხმების დებულებები არ უშლიან საბაჟო ადმინისტრაციებს ხელს თავიანთი ინიციატივით გაუზიარონ ერთმანეთს ინფორმაცია იმ აქტივობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიოს საბაჟო სამართალდარღვევა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

4. მხარდაჭერა შესაძლებელია განხორციელდეს დროებითი ზომებისა და ჩამორთმევის პროცედურების გამოყენებით და ამ ქონებასთან დაკავშირებულ საქმის წარმოებებში.
5. ამ შეთანხმების და სხვა არსებული შეთანხმებების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება ჩამორთმეული აქტივების გაზიარებისა და განკარგვის საკითხს, მხარეებს ეძლევათ უფლება:
  - a. განკარგონ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული მხარდაჭერის აღმოჩენისას ჩამორთმეული ქონება, შემოსავლები და საშუალებები რომლის ჩამორთმევაც განხორციელდა იმ მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მართავს აღნიშნულ ქონებას, შემოსავლებს და საშუალებებს; და
  - b. იმდენად რამდენადაც ითვალისწინებს მათი შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, და თანაზიარობის პრინციპის გამოუყენებლად, გადასცენ ჩამორთმეული ქონება, შემოსავლები, საშუალებები და გაყიდვისგან მიღებული შემოსავალი, მეორე მხარეს, მხარეებს შორის შეთანხმებული პირობების საფუძველზე.
6. ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე საბაჟო ადმინისტრაციებს ეძლევათ უფლება, მათი კონტროლის ქვეშ, დაუშვან არაკანონიერი ან არაკანონიერებაში ეჭვმიტანილი საქონლის მოძრაობა თავიანთ ტერიტორიაზე მისი მიმართულებით ან მისი გავლით, თუ აღნიშნული ემსახურება საბაჟო სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას და მიზნად ისახავს საგამოძიებო ქმედებებს. თუ მსგავსი უფლების მინიჭება არ შედის საბაჟო ადმინისტრაციის კომპეტენციაში, მაშინ შესაბამისი საბაჟო ადმინისტრაცია შეეცდება თანამშრომლობა წამოიწყოს იმ სახელმწიფო უწყებასთან რომელსაც გააჩნია მსგავსი კომპეტენცია, ან გადასცემს საქმეს აღნიშნულ უწყებას.

## მუხლი 5

### ფაილები და დოკუმენტები

1. მოთხოვნის საფუძველზე საბაჟო ადმინისტრაციები ერთმანეთს მიაწვდიან საქონლის ტრანსპორტირებასთან და გადაზიდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელშიც აღნიშნული იქნება საქონლის ღირებულება, დანიშნულება, განლაგება.
2. თხოვნის წარმდგენ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დოკუმენტების, ფაილების და სხვა საბუთების ორიგინალები მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ასლები არ არის საკმარისი. მოთხოვნის საფუძველზე, თხოვნის მიმღები ადმინისტრაცია თხოვნის წარმდგენ მხარეს მიაწვდის დოკუმენტების, ფაილების და სხვა საბუთების შესაბამისად დამოწმებულ ასლებს.
3. თუ თხოვნის წარმდგენი ადმინისტრაცია კონკრეტულად არ მოითხოვს ორიგინალ დოკუმენტებს ან დოკუმენტების ასლებს, თხოვნის მიმღებ ადმინისტრაციას უფლება აქვს გადაიყვანოს მის ხელთ არსებული ელექტრონული ინფორმაცია ნებისმიერ სხვა ფორმატში. ამავდროულად, თხოვნის მიმღები ადმინისტრაცია თხოვნის წარმდგენ მხარეს მიაწვდის ყველა იმ მასალას, რომელიც საჭიროა ელექტრონული ინფორმაციის განმარტებისა და გამოყენებისათვის.
4. თხოვნის მიმღები ადმინისტრაციის თანხმობის შემთხვევაში, თხოვნის წარმდგენი ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილ თანამდებობის პირებს შეუძლიათ თხოვნის მიმღები ადმინისტრაციის ოფისებში შეამოწმონ საბაჟო სამართალდარღვევებთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაცია, გადაიღონ ასლები და გამოითხოვონ შესაბამისი დოკუმენტაცია.
5. მიწოდებული ორიგინალი დოკუმენტები, ფაილები და მასალები დაბრუნდება შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში. თხოვნის მიმღები ადმინისტრაციის ან ადმინისტრაციისგან განსხვავებული ობიექტის ან კერძო პირის უფლებები რჩება ხელშეუხებელი.

## მუხლი 6

### მოწმეები

1. თხოვნის საფუძველზე, თხოვნის მიმღებ მხარეს შეუძლია მის თანამშრომლებს მიანიჭოს უფლებამოსილება, თხოვნის წარმდგენი მხარის სახელმწიფო ტერიტორიაზე წარდგენენ მოწმეების სახით სასამართლო ან ადმინისტრაციულ განხილვებზე და წარადგინონ დოკუმენტები, ფაილები და სხვა მასალები ან დამოწმებული ასლები.
2. თხოვნის მიმღებ მხარეს, მისთვის მისაღები გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ენიჭება უფლება მოუხსნას დიპლომატიური ან საკონსულო ხელშეუხებლობა საბაჟო უწყების წარმომადგენლებს იმ შემთხვევებში როდესაც ისინი გამოძახებულნი იქნებიან სასამართლოში მოწმის სახით.

## მუხლი 7 თხოვნის მიწოდება

1. ამ შეთანხმების თანახმად, თხოვნის მიწოდება მოხდება წერილობითი ფორმით, შესაბამისი საბაჟო ადმინისტრაციების უფროსების მიერ დანიშნულ თანამდებობის პირებს შორის. ინფორმაცია, რომელიც მიჩნეულ იქნება მოთხოვნის აღსრულების ხელშემწყობად, ასევე გაიგზავნება მოთხოვნასთან ერთად. განსაკუთრებულ ვითარებებში შესაძლებელია ზეპირსიტყვიერი მოთხოვნის წარდგენა და მიღება, მაგრამ აღნიშნული თხოვნის წერილობითი დადასტურება უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში და ზეპირსიტყვიერი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თხოვნის წარმდგენი ადმინისტრაციის კალენდარის მიხედვით.
2. მიმღები ადმინისტრაციის მხრიდან ინფორმაციის სრულად მიწოდების ხელის შეწყობის მიზნით, გაგზავნილი თხოვნა უნდა შეიცავდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას, მათ შორის:
  - a. თხოვნის წარმდგენი ადმინისტრაციის სახელწოდება;
  - b. საკითხის არსი ან ოქმი;
  - c. მოცემული ფაქტების და საბაჟო სამართალდარღვევების მოკლე აღწერილობა;
  - d. თხოვნის წარდგენის მიზეზი;
  - e. მოთხოვნილი დახმარების აღწერილობა;
  - f. თუ ცნობილია, იმ პირთა სახელები/გვარები და მისამართები, და სხვა რელევანტური ინფორმაცია, რომლებსაც უკავშირდება თხოვნა.

## მუხლი 8 თხოვნის აღსრულება

1. თხოვნის მიმღები ადმინისტრაცია მიიღებს ყველა შესაბამის ზომებს რათა აღასრულოს თხოვნა და შეეცდება ყველა საჭირო ოფიციალური ზომების გატარებას აღნიშნული მიზნის მისაღწევად.
2. თუ თხოვნის მიმღები ადმინისტრაცია არ არის თხოვნის განხორციელებისთვის შესაბამისი უწყება, მას შეუძლია კომპეტენტური უწყების ან შეთანხმების რჩევასთან ერთად თავად გადაამისამართოს აღნიშნული თხოვნა შესაბამის უწყებაში.
3. თხოვნის მიმღები ადმინისტრაცია სრულყოფილად ჩაატარებს ინსპექტირებას, ფაქტების მოძიებას, შემოწმებას ან სხვა საგამოძიებო მოქმედებებს, ექსპერტების, მოწმეების და საბაჟო სამართალდარღვევაში ეჭვმიტანილი პირების გამოკითხვის ჩათვლით, რომლებიც საჭიროა თხოვნის აღსრულებისთვის ან თხოვნის წარმდგენ მხრეს მიაწიჭებს აღნიშნული ქმედებების განხორციელების უფლებას.
4. მოთხოვნის საფუძველზე, თხოვნის წარმდგენ ადმინისტრაციას ეცნობება თხოვნის აღსრულებისთვის ჩასატარებელი ღონისძიებების დრო და ადგილი.
5. მოთხოვნის საფუძველზე, თხოვნის მიმღებ მხარეს აქვს უფლება თხოვნის წარმდგენი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მიაწიჭოს მისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის და თხოვნის აღსრულებისთვის საჭირო საქმიანობებში ჩართვის უფლება.
6. თხოვნის მიმღები ადმინისტრაცია თანხმდება, რომ თხოვნით გათვალისწინებული პროცედურების აღსრულება განხორციელდება მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში.

## მუხლი 9 გამოყენების შეზღუდვები

1. ამ შეთანხმების ფარგლებში მოპოვებულ ინფორმაციას თხოვნის წარმდგენი მხარე მიანიჭებს იმ დონის კონფიდენციალურობის სტატუსს, როგორსაც ანიჭებს მის ხელთ არსებულ მსგავსი სახის ინფორმაციას.
2. ამ შეთანხმების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება ან გამჟღავნება შეიძლება მხოლოდ შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო განხილვაზე მიმღები მხარის მიერ ინფორმაციის გამოყენების ჩათვლით. მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია სხვა მიზნებისათვისაც ან მიმღები მხარის სხვა უწყების მიერ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მიმწოდებელი საბაჟო ადმინისტრაცია გარკვევით დაადასტურებს აღნიშნულზე თანხმობას წერილობითი ფორმით.
3. მხარეების მიერ მიღებულ ინფორმაციას, მიმწოდებელი მხარის თხოვნის საფუძველზე მიენიჭება კონფიდენციალურობის სტატუსი. აღნიშნული სტატუსის მინიჭებაზე მოთხოვნა უნდა დასაბუთდეს.
4. ეს მუხლი არ კრძალავს ამ შეთანხმების ფარგლებში გაზიარებული ინფორმაციის გამოყენებასა და გამჟღავნებას, თუ აღნიშნული მოვალეობა განსაზღვრულია მიმღები მხარის კონსტიტუციით ან შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. მიმღები მხარე წინასწარ შეატყობინებს მიმწოდებელ მხარეს ინფორმაციის გამჟღავნების მსგავსი შემთხვევების შესახებ.
5. ეს მუხლი არ კრძალავს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ინფორმაციის გაზიარებას იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება ტერორიზმის ან სხვა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს, როდესაც მსგავსი სახის ინფორმაციის გამოყენება ან გამჟღავნება გათვალისწინებულია მიმღები მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.
6. თუ აღმოჩნდება, რომ მიწოდებული მონაცემები არ არის სწორი ან არ უნდა მომხდარიყო აღნიშნული ინფორმაციის გაზიარება, დაუყოვნებლივ უნდა

გაიგზავნოს შეტყობინება. ინფორმაციის მიმღები საბაჟო ადმინისტრაცია შეასწორებს ან წაშლის მსგავსი სახის ინფორმაციას.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული გასაჯაროვებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მიზნებისათვის.
8. თითოელი საბაჟო ადმინისტრაცია დანერგავს და შეინარჩუნებს კონფიდენციალური მონაცემების, ფაილების და დოკუმენტების შესაბამისი მოპყრობისთვის გადაცემისთვის, შენახვისთვის, მართვისთვის და შიდა გავრცელებისთვის საჭირო ადგილობრივ ღონისძიებებს.



## მუხლი 10

### გამონაკლისები

1. თუ წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე წარმოდგენილი თხოვნა დახმარების თაობაზე არღვევს ან ეწინააღმდეგება თხოვნის მიმღები მხარის სახელმწიფო სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, სახელმწიფო პოლიტიკას ან არ შეესაბამება მის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას და რეგულაციებს, გამოყენების შეზღუდვის და კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნების ჩათვლით, მხარეს შეუძლია უარი თქვას დახმარების გაწევაზე, ან სიტუაციიდან გამომდინარე, დახმარება შეზღუდოს გარკვეული პირობებით.
2. თუ თხოვნის წარმდგენ ადმინისტრაციას არ შეუძლია თხოვნის შესრულება, თხოვნის მიმღები ადმინისტრაციისგან მსგავსი თხოვნის მიღებისას, ის ვალდებულია ყურადღება გაამახვილოს ამის თაობაზე თავის თხოვნაში. ასეთი თხოვნის შესრულება წარმოადგენს თხოვნის მიმღები ადმინისტრაციის დისკრეციას.
3. დახმარების გაწევა შეიძლება გადაიდოს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შეიძლება ხელი შეუშალოს მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, სამართალწარმოებას ან სასამართლო წარმოებას. ამ შემთხვევაში, თხოვნის მიმღები მხარის საბაჟო ადმინისტრაცია კონსულტაციებს გამართავს თხოვნის წარმდგენ მხარის საბაჟო ადმინისტრაციასთან, რათა განისაზღვროს შესაძლებელია, თუ არა აღნიშნული დახმარების გაწევა თხოვნის მიმღები საბაჟო ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული პირობების გათვალისწინებით.
4. იმ შემთხვევებში თუ შეუძლებელია დახმარების გაწევა, თხოვნის წარმდგენ ადმინისტრაციას დაუყოვნებლივ ეცნობება და მიეწოდება შესაბამისი დასაბუთება თხოვნის არ აღსრულების ან გადადების მიზეზების თაობაზე. გარემოებები, რომლებსაც შესაძლებელია გააჩნდეს სამომავლო მნიშვნელობა, ასევე ეცნობება თხოვნის წარმდგენ ადმინისტრაციას.

## მუხლი 11

### ხარჯები

1. დახმარების შესახებ მოთხოვნის მიმღები მხარე დაფარავს დახმარების აღსრულებისათვის საჭირო ყველა ხარჯებს, გარდა ექსპერტების და მოწმეების ხარჯებისა და ასევე, თარჯიმანთა და მთარგმნელთა მომსახურების საფასურისა, რომელსაც გაიღებს თხოვნის წარმდგენი მხარე.
2. თუ თხოვნის შესრულება საჭიროებს მნიშვნელოვანი მოცულობის ან განსაკუთრებული ხასიათის ხარჯებს, მხარეები, თავიანთი საბაჟო ადმინისტრაციების მეშვეობით, გაივლიან კონსულტაციას იმ პირობების ჩამოყალიბების მიზნით, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია თხოვნის შესრულება და ხარჯების გაწევა.

## **მუხლი 12**

### **შეთანხმების შესრულება და გამოყენება**

1. საბაჟო ადმინისტრაციები პასუხისმგებელი არიან წინამდებარე შეთანხმების შესრულებაზე. ისინი ვალდებული არიან, მათ შორის:
  - (a) წინამდებარე შეთანხმების შესრულების დროს წარმოშობილი საკითხების თაობაზე აწარმოონ პირდაპირი კონსულტაციები;
  - (b) კონსულტაციების შემდეგ გასცენ ნებისმიერი ადმინისტრაციული დირექტივა, რაც საჭიროა წინამდებარე შეთანხმების შესრულებისთვის; და
  - (c) ეცდებიან ერთობლივი გადაწყვეტილებით მოაგვარონ ნებისმიერი პრობლემა ან შეკითხვა, რაც წარმოიშობა წინამდებარე შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით.
2. იმ დავებზე, რომლებზეც არ არსებობს გადაწყვეტილება, საბაჟო ადმინისტრაციებს შორის უნდა მოგვარდეს დიპლომატიური არხების საშუალებით.
3. წინამდებარე შეთანხმების შესრულების შეფასების მიზნით, საბაჟო ადმინისტრაციები თანხმდებიან საჭიროებისამებრ, თითოეული მხარის მოთხოვნის საფუძველზე, პეროდულად შეხვდნენ ერთმანეთს.

## **მუხლი 13**

### **ტერიტორიული გამოყენება**

აღნიშნული შეთანხმება გავრცელდება ორივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც განსაზღვრულია შიდა სამართლებლივ და ადმინისტრაციულ დებულებებში.

## მუხლი 14

### ძალაში შესვლა, ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ხელშემკვრელ მხარეთა მიერ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ, დიპლომატიური არხების მეშვეობით, უკანასკნელი წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან პირველი თვის პირველ დღეს. წინამდებარე შეთანხმება ხელმოწერის შემდეგ, ძალაში შესვლამდე გამოიყენება დროებით ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რომელიც ასახულია 1969 წლის „სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“ ვენის კონვენციის 25-ე მუხლში.
2. თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს შეთანხმების მოქმედება მეორე მხარისათვის შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, დიპლომატიური არხებით, შეტყობინების გაგზავნის გზით. შეთანხმება მოქმედებას წყვეტს მეორე მხარის მიერ დენონსაციის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ. შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის დროს, წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე წარმოება და გაგზავნილი თხოვნები უნდა იქნას დასრულებული ამ შეთანხმების დებულებების შესაბამისად.

შეთანხმებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომლებიც გაფორმდება ცალკე დოკუმენტის სახით და ძალაში შევა ისეთივე წესით, როგორი წესითაც ეს შეთანხმება შედის ძალაში.

დასტურად ამისა, ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს მთავრობების მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა.

შესრულებულია ქ. Brussels წლის July 6, 2017 ორ დედნად თითოეული ინგლისურ და ქართულ ენებზე. ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია.

ამერიკის შეერთებული შტატების  
მთავრობის სახელით

საქართველოს მთავრობის სახელით

Bunde B Smith

ს. ბ. ბერიძე